№ 235. 8 ნოემბერი, ქვირა. 1866—1881 8 ნოემბერი, ქვირა. № 235.

**რედაქცია**

გ-ლოკონის ბრანსკექტზეთ. ოკ. მუხრანსკის ხახლებში ალუნის ქვეშოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში „დროებაში“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში“ „ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. ეარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაში“-„ივერიის“ ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| დროებაში“ და „ივერიაში“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებაში“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიაში“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთა ოთხკრულით ასოზე ნახევარი კაპ., ერთ ადგილ ასოზე 3 შაურ. ასოზე შეთხვედ კაპ.

თუ ხაჭირაცა ამოთხოვენ, რედაქცია ანგარიშებს და შეამოკლებენ დახარჯულ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ეთხოვა ვერ დაუბრუნებს ჯეტრს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და ხალ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“, „ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**არწრუნის თეატრში**

**ქვირას, 8 ნოემბერს**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**

## ალმზრდელები

კომედ. 2 მოქმედ. ა. მოჩხუბაიძისა.

**II**

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

**დასაწყისი 8 საათზედ.**

**ფასები დაკლებულია.**

**სანაფსულო თეატრში**

**ოთხშაბათს, 11 ნოემბერს**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**მეორე აბონემენტის რიცხვში**

## მოგაკვდავნი

კომედია 4 მოქმედებად

თხზ. თ. ბიორ. მიხ. შარეაშიძისა.

ფასები ჩვეულებრივი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

**დასაწყისი 7 ½ საათზე.**

## ტელეგრამმა

(„ჩალთბილისის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**კეტერბურგის ბირჟა, 6 ნოემ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | — | 95 — „ |
| მეორესი | — | 91 — „ |
| მესამესი | — | 93 — 50 |
| მეოთხესი | — | 91 — 87½ |
| ალმოსავლეთის პირვ. | — | 90 — 62 |
| ალმოსავლეთის მეორე | | 90 — 62 |
| ალმოსავლეთის მესამე | | 90 — 62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | | 7 — 67½ |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | — | 220 — 75 |
| მეორე სესხის | — | 214 — 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | — | 25 — 75 | პენსი |
| ბერლინი | — | „ — „ | პფენიგი |
| ბამბურღი | — | 219 — 75 | ცენტი |
| პარიჟი | — | 272 — 37 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | | — — — | |

## ბამბეტას სამინისტრო

**თფილისი, 7 ნოემბერს.**

პარიჟიდამ მოსულმა ტელეგრამმამ მოგვიტანა გუშინ წინ ამბავი, რომელსაც ევროპის პოლიტიკურ საქმეების მცოდნე პირები მოელოდნენ მას აქეთ, რაც უკანასკნელი ამორჩევები მოხდა საფრანგეთში. ჩვენ ვამბობთ ჟულ ფერრის სამინისტროს გადადგომაზე და მის მაგივრად ბამბეტას სამინისტროს შედგენაზედ.

ბაელილ 9 აგვისტოს რომ საფრანგეთში ნაციონალურ კრების დეპუტატთა არჩევანი იყო დანიშნული, ამ არჩევანზე გამოაშკარავდა, რომ საფრანგეთის ხალხი დიდი უმრავლესობა თანაუგრძნობს ბამბეტას „ზომიერ“ რესპუბლიკურ პოლიტიკას და იმისი ნდობა უფრო აქვს, ვიდრემ ჟულ ფერრისებურ მშიშარა და ერთობ მოკრძალულ გამგებლობისა.

ამიტომაც ვსთქვით, შეიკრიბებოდა თუ არა ახალი ნაციონალური კრება, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბამბეტტა და იმის დასსის კაცები შეიქნებოდნენ საფრანგეთის ბედის გამგებლებად. ესეც მოხდა.

მართალია, ბამბეტა მარტო დღეს როდი შეიქნა საფრანგეთის ბედის გამგებელი: ჯერ უბრალო დეპუტატობის დროსაც და შემდეგ ნაციონალურ კრების თავსმჯდომარეობის დროსაც, თუმცა მმართებლობაში იმას არავითარი ნაწილი არ ედვა, თუმცა ის არც მინისტრი ყოფილ და არც საზოგადოდ ოფიციალური პირი, მაგრამ ნამდვილი გამგებელი საფრანგეთისა ის იყო. ნაც. კრების მომეტებულ მხარეს ის მიაჩნდა თავის მოთავედ, ყველა საქმეებში იმას დაეკითხებოდნენ და თუ რომელიმე განკარგულება არ მოეწონებოდა მმართებლობისა, ერთის სიტყვის თქმის მეტი არ უნდოდა, რომ ეს სამინსტრო გარდაეყენებინა, რადგან იმის სიტყვა ამ დროსვე იყო სიტყვა და აზრი ნაც. კრების დეპუტატთა უმრავლესობისა.

ამ ნაირად, დღემდინ ბამბეტა იყო ნამდვილი მმართველი და გამგებელი საფრანგეთის ყოველ გვარ საზოგადო საქმეებისა, მაგრამ პასუხისმგებელი ამ საქმეებში ის კი არ იყო, არამედ სამინისტრო. პარლამენტალურს წესს არ შეეფერებოდა ამ გვარი მდგომარეობა და ამიტომაც დღეს იმან სამინისტროსთან სრული პასუხის-გებაც იკისრა.

რას უნდა მოელოდეს საფრანგეთი ბამბეტას ახალ სამინისტროსაგან? შეჭველია, ბევრს არაფერს. მაგრამ ამის თქმა კი შეიძლება, რომ ის

---

**«დროების» ფელეტონი, 8 ნოემბერი**

## ომის დროს მოგზაურობა

**ოსმალოს საქართველოში.**

ითქმის სრულ ერთ წლის განმავლობაში თუ კი წავადგამდით ფეხს სადმე, კძალვით და სიფთხილით: ყოველ ფეხის წადგმაზე მოველოდით განსაცდელს და საუკუნოდ განსვენებას...

აგერ დავაპირეთ არტაანიდგან წასვლა შავშეთზე, რომელსაც ჯერ არ ესტუმრებოდით; მაგრამ ამ შემთხვევაში კი ძალიან არხეანად ვიყავით, რადგან მშვიდობიანობის და შერიგების ამბები მოვიდა.

აპრილის 14-ს 1878 გაველაშქრეთ არტაანიდგან შავშეთზე. იმ ღამეს მთის ძირათ დავდექით; მთა იყო თოვლიანი მინდორი. მთას გარდაღმა გამოგვიჩნდა საშინელი თავდაღმართი; ვიარეთ კარგა ტყეში.

აქ თოვლის მაგივრად კაცის თვალს მიიტაცებდა ხის ფოთლების შრიალი, მაღლობ ხეობიდგან გადმომდინარე ანკარა წყარო და ყურს მიიზიდავდა ფრინველების ჭიკჭიკი.

საღამო ჟამს მიველით ს. სათლერაბათ. სამი დღე დავრჩით ნურიბეგ ხიმშიაშვილთან სტუმრად. მღვთის ნაკურთხ ალაგს რომ იტყვიან, ეს ყოფილა: წინ სოფელს ჩამოუქრის მშვენიერი ანკარა ქალმახის წყალი; სახნავ-სათესი საკმარისი აქვთ, აგრეთვე ბაღები და ბოსტნები, გარშემოტყით შემორტყმული, ჰაერიც კარგი. ნახავთ რამდენიმე ასის წლის დანგრეულ ციხეს. ვერც ახლანდელ სახლებს დაიწუნებთ: ორ-სამ სართულიანი ქვით-კირის სახლებიც გახლავს. მცხოვრები მომეტებული ნაწილი სომეხთ-კათოლიკენი არია.

მეოთხე დღეს დავწინაურდით არტანუჯში მისასვლელად; გავსცილდით ს. სათლეს (სათლე და სათლერაბათი სხვა-და-სხვაა) და ავიარეთ ორ ვერსიანი ალმართი. აქედგან იწყობა არტანუჯის მაზრა. ალმართის თავზე, მარცხნივ, მოჩანდა ს. ქარსნია და აგრეთვე მიდის გზაც არტანუჯზე,—სულ სწორია, ვიდრე-მივალთ ს. ნორგალს და იქიდგან კიდევ რამდენიმე ვერსი დაგვრჩება, თავ-დალმართის თავამდე.—ეს სულ სათიბი მინდვრებია და იქიდგანვე გამოგვიჩნდება არტანუჯი. ვიდრე მივიდოდეთ სულ თავ-დალმართია, ტყით და ბაღებით შემოზღუდული და შიგ სოფლები; ალაგ-ალაგ თითო-ოროლა ყურძნის ვაზებიც შეგვხვდება; მაგრამ აქაურები ყურს არ უგდებენ. ჩვენ ამ გზით ვერ წაველით, რადგან ნორგლის იქით ისევ თოვლი იყო, ვიარეთ მარჯვნივ. ჩავიარეთ კარგა ძალი დალმართი და მიველით ს. სამუზღარს ანუ სამწყარს.

თუმცა ჩვენ ყველანი არტანუჯს მისასვლელი ვიყავით, მაგრამ, რადგან იქ ძნელი იყო ქერისა და მზის შოვნა ცხენებისთვის, ორმოც-და-რვა კაცი აქ დაგვტოვა ჩვენმა წინამძღვარმა და გვიბრძანა, რომ შეიძლება ჩვენ ბათუმსაც წავიდეთ და ელოდეთ, ახალ ბრძანებასაო. ისინი წავიდნენ, ჩვენ დავრჩით. აღდგომაც აქ გავითენეთ.

ს. სამწყარი ორ უბნად გაიყოფება: დიდი უბანი, რომელიც ერთ ვერსს გასწვევს, ვიდრე ოთხმოც მცხოვრებამდია, სულ გამაჰმადიანებული ქართველები; ქართული ლაპარაკი რამდენიმე მოხუცებულებმა-ღა იცოდნენ.

პატარა უბანს „რაჯაბ-ოღლის“ ეძახიან.

ერთმა მოხუცებულმა იმათგანმა მიამბო შემდეგი:

— აი, იმ ქილისიის პირ-და-პირ კლდე რომ მოჩანს, (სამხრეთით მოჩანდა პატარა დანგრეული ეკკლესია), იმ კლდიდგან გამოდის სამი დიდი წყარო, უწინ ეს სოფელი იქ ყოფილა, სადაც ეხლაც ეტყობა ნანგრევი; შემდეგ აქ გადმოსახლებულან და რადგან „იენი იეთმამ“ (ახალმა ჩამოვალობამ) დაიეწყა ქართული, მისთვის ამ სოფელს უძახიან „სამზღარ“, თორემ ჩემ ყმაწვილობისას კიდევ ვეძახდით „სამ-წყაროს“ და ეს სოფელი სამ-წყაროა. ის კლდე, გაჭრილი რომ არის (ჩრდილოეთით მოჩანდა), მე გამიგონია უწინ იქიდგან ვენახებისთვის გურჯებს (ქართველებს) წყალი გამოჰყავდათ და თავიანთ ვენახებს და ბოსტნებს წყავდნენო.

მე განკვირვებით ვუთხარ:

— როგორ შეიძლება იმ კლდიდგან წყალი გამოიყვანონ, რომ ვერც კი მიუდგებიან, და აიმ ღელეში როგორღა წამოიყვანეს?

— ე-ეიჰ! ოღლულ (შვილო)! უწინ ჩვენი „დადები“ (პაპები) ჩვენსავით ზარმაცნი არ ყოფილან, მიპასუხა. იმათ შეუკერიათ, ვინ იცის, რამდენი ყულაჯი (მხარი ზომა) ერთიანი ტყავის პარღი (მილი) და სადაც არ შეიძლებოდა მიწაზე წამოყვანა, იმით მოჰყავდათ და ეხლა ვენახი, ისიც ძრიელ ცოტა, აი იქ დარჩენილა, რომელიც მოჩანს დასავლეთისკენ იმერ-ხეობის შესავალზე.

აპრილის 27-ს მოგვიეიდა ბრძანება, წაველით არტანუჯს. ერთვინიდან მობრძანდა ჩვენი უფროსი და წავიდა არტაანს და ჩვენ კი დავრჩით არტანუჯს. მაისის 2-ს შუადღისას მომიტანეს ერთი ახირებული ტე-

შეურყეველად, მტკიცედ დაამყარებს საფრანგეთში რესპუბლიკას და რესპუბლიკურ წესებსა. Გამბეტტა მხნე, მაგარი ხასიათის კაცია; რასაც ერთხელ გადასწყვეტს თავის აზრსა და გონებაში, რასაც ერთხელ განიზრახავს, რაც უნდა მოუვიდეს, აასრულებს, ეცდება ყველა დაბრკოლება მოსპოს.

Და რადგან იმას სამღვდელოება, ბონაპარტისტები და საზოგადოდ მონარხიელები მიაჩნია რესპუბლიკის დამკვიდრების მტრებად, ამის გამო ყველაზე უფრო ამათ უნდა ეშინოდესთ Გამბეტასი და იმის პოლიტიკურ მოქმედებისა.

Რაც შეეხება ესრედ-წოდებულ „სოციალურ კითხვებს“, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ Გამბეტა ეკუთვნის იმ დასს პოლიტიკო-ეკონომებისას, რომელსაც „ბურჟუას“ ეძახიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საგნების შესახებ Გამბეტასაგან ბევრს არას უნდა მოელოდეს საფრანგეთი. Მაგრამ ის სრული პოლიტიკური თავისუფლება, რომელსაც Გამბეტა, უეჭველია, დაამყარებს საფრანგეთში, სოციალურ პარტიასაც ხელს მოუწყობს თავის მიზნის მშვიდობიანად მიღწევაში...

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

Ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი Ბათუმის შესახებ.

„Ბათუმის გარშემო მთები ისეთნაირად გამაგრებულია რუსებისაგან, რომ ორის კვირის განმავლობაში შეიძლება ამის მიუდგომელ ნავსადგურად გადაქცევა, რომელშიაც თავისუფლად დაეტევა თოთხმეტი დიდი ჯავშნიანი ხომალდი.

„Ამას გარდა Ბათუმი ამ მოკლე ხანში Კასპის ზღვასთან შეერთდება Ფ.-Თფილისის რკინის გზის საშუალებით ასე, რომ ადვილად შეიძლება იქ მსწრაფლად ჯარების მოგროვება.“

* * *

Ამბობენ, ერთს ფრანცუზს Დედალმას მოუგონია ისეთი ელექტრონის მაშინა, რომლის საშუალებითაც ფილოქსერის გაწყვეტა შეიძლებაო. Ეს მაშინა გაუსინჯავთ და ძალიან კარგი გამომდგარა.

* * *

Იმ კორრესპონდენციის თაობაზე, რომელიც „Დროების“ მე-190 ნომერში იყო დაბეჭდილი, Ბანძის საბლაღოჩინოს (სენაკის მაზრისა) მღვდ. Თომა Ძარაძე გვწერს, რომ სოფ. Ბანძაში დიდი ხანია ერთი ურიის დედა-კაცი მარჩიელობსო, ამ მარჩიელის შესახებ გამოძიება არის დანიშნული და მალე იმის ხელობის აღკრძალვას მოველითო.

* * *

Ქუთაისის მოქალაქე ბ-ნი Ბ. Გაბაშვილი გთხოვს ჩვენს გაზეთში დავუბეჭდოთ მას შემდეგი წერილი:

„Ამ ორი კვირის წინად გახლდით ქ. Ფოთში, ავად შევიქენი და ექიმის რეცეპტით ადგილობრივის აფთიაქიდამ წამალი, დავიბარე. Მომივიდა თუ არა წამალი, შევატყვე, რომ საწამლე შუშაში ერთად იყო არეული საჭირო წამალი და რაღაცა საღებავი, რომელსაც მორჩენის მაგიერ, ვინ იცის, იქნება უპრაგონოდაც გაესტუმრებინე საიქიოს. Რადგანაც ამისთანა მოგზაურობას ჯერ არ ვაპირობ, მივედი აფთიაქში და ვიკითხე, რას ნიშნავს წამლის და საღებავის ერთმანეთში არევა. Გამოცვლისა და ზრდილობიანობის პასუხის მაგიერ, იქ მომიგეს, ეს ჩვენი საქმე არ არის, იქნება თქვენმა ბიჭმა ჩაურიაო. Თუ არ გინდათ, ნუ წაიღებთო. Გამოვბრუნდი და პოლიცმეისტერს შევჩივლე. Ამანაც ჯერ მითხრა რა ჩემი საქმეაო და მერე, რაკი არ მოვეშვი, წინადადება მომცა მოხსენება დასწერე და მომართვიო. Ამაოდ დარჩა ჩემი ვედრება, რომ მოხსენების წერა არ შემიძლია, მე პირადად გიცხადებთ და, თუ გნებავთ, თქვენ დასწერეთ და მე ხელს მოვაწერ მეთქი... Პოლიცმეისტერის წყალობით დღემდის შერჩა აფთიაქის მმართველს მისი მავნე დაუდევრობა, მაგრამ დღეს, რა რომ ეს ამბავი საქვეყნოდ იბეჭდება, იმედი მაქვს ღირსეული ყურადღება მიექცევა საზოგადოებისაგან და ვისაც მოვალეობაა იმათგანაც, როგორც აფთიაქის მმართველის ჩემ შესახებ, ისე პოლიცმეისტრის ქცევასაც.

„Რასაც აქ ვამბობ მას დავამტკიცებ მრავალის მოწმებით ყოველგან, სადაც კი საჭირო იქნება.“

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 5 ნოემბერს.** Ერთი ქუთაისელი კაცი Იოსებ Მაშია ყოფილა მოჯამაგირედ მებელის ხელოსანთან ქალაქში, ვინმე Დვალიშვილთან, რომლისაცა დასდებია ორმოცი თუმანი ვალად ნატარიუსის ვექსილით, და რადგანაც Დვალიშვილს [illegible] კმაყოფილება არ მიუღია, [illegible] წარუდგენია ის ვექსილი ქუთაისის სასამართლოში 16-ს ივნისს 1880 წ.; მოსამართლემ კანონისა მებრ დაადო ყოველის Მაშიას მამულზედ „აკრძალვა“. Იმავე თვისას და შემდეგ შედგენილის, 23-ს ივნისის გარდაწყვეტილობის ძალით, ამ Დვალიშვილს მისცა „ისპოლნიტელნი ლისტი“ ორმოცი თუმნისა; Მაშიას აღუწერეს მამული: სასოფლო სახლი თავისის ეზოთი, და თუმცა Დვალიშვილი რამდენჯერმე მივიდა Ქუთაისს დასაჩქარებლად ამ მამულის გაყიდვისა, მაგრამ ეს გაყიდვა ძლივსღა დაინიშნა 2-ს ნოემბერს ამ 1881 წ., მაგრამ ერთმა გარემოებამ დააბრკოლა Დვალიშვილის დაკმაყოფილება: სეკრეტრის თანაშემწე Ქუთაისის ოლქის სასამართლოსი ბ-ნი Ბ. Ძ—ძე ინდომებს Დვალიშვილის ცარიელზედ დატოვებას და მოახერხებს ჯერ არსად არ წარმოდგენილს ბრძანებასა: Დვალიშვილის Თფილისს ყოფნის დროს უჩუმრად 11-ს განვლილს ივნისისას, რასაკვირველია, წინადვე დაწყობილებით, მოიყვანს Დვალიშვილის მოვალეს Მაშიას Ქუთაისის უეზდის სასამართლოში და ათქმევინებს მას, ვითომცა Ძ—ძისეს მართებს ექვსასი თუმანი ფული და ისიც უბარათოდ! Მოსამართლე მისცემს მაშინათვე Ძ—ძეს ამ ვალის „ისპოლნიტელნი ლისტს“ № 3206 და მიაჩემებს იმავე მამულზედ, რომელიც აღიწერა Დვალიშვილის ორმოც თუმანში; ამ კეთილ მომქმედის Ძ—ძის გამო, ჭეშმარიტი ფულის მეპატრონეს Დვალიშვილს,

---

ლევრამმა: ჩემი უფროსი მიბარებს Ახალციხეს. Ბრძანებას შესრულება უნდა, მეც ერთ ოსს უბრძანე გამზადებულიყვნენ, და ნახევარ საათზე გაუდექით გზას.

Არტანუჯიდამ ორი გზა არის Ახალციხეზე; პირველი Იალანუს-ჩამიდამ Არტაანზე და აგრეთვე შავშეთიდგან Არტაანზედაც და იქიდგან Ახალციხეს; მეორე შავშეთიდგან Არსიანზე. Მე Არსიანზე ვარჩიე წასვლა, რადგან ძრიელ ახლოდ მოსჭრის გზას. Საღამო ჟამს მიველ ისევ Საჯაბ-ოღლის სოფ. Ბაცის გზით და შუა-ღამისას Სათლე-რაბაში ვეწვიე ერთ ჩემ ძველ მეგობარს Სიმონ-აღა Სოლომონ-ოღლის (აქაურ სომხებმა „იანცის“ მაგივრად „ოღლი“ იციან). Იქ ღამეს ბევრი მთხოვა, რომ Არსიანზე არ წავსულიყავი, რადგან ძრიელ შიშიანობააო აჭარლების გამოვო, მაგრამ მე არ დავიშალე და დილით გაუთენებლივ გაუდევ გზას.

Სწორედ მშვენიერებაა გაზაფხულზე და ზაფხულში მოგზაურობა ამნაირ ადგილებში. Სულ ტყეში დადიხარ, ყოველს ნაბიჯზე ჩამოჰქრიალებს ანკარა წყლები. Გავსცილდით ს. Ველს; მარჯვნივ და მარცხნივ მოჩანან სოფლები. Ადვილად შეატყობთ, რომელს სოფელშიაც სცხოვრობს რომელიმე ბეგი. Ბევრ სოფლებში შეხვდება სამ-ოთხ სართულიანი ქვითკირის სახლები, გარშემო ბაღები, შიგ წყარო, აუზი და ამნაირი მშვენიერება.

Თუ ქართველიც ხარ და გაქვთ გულში ცოტა მაინც აღგზნებული ნაპერწკალი მამულის სიყვარულისა, სიამოვნებით ხედავ ნაგრევ ციხე ეკკლესიებს, ხალხი გელაპარაკება ქართულს, შეიძლება იმას არ ჰქონდეს სამშობლოს გრძნობა, შენ კი იწვიიხრუკვი, გული სიამოვნებით გიტოკს, გაგონდება წასული დროება, გაგონდება გაცალკევებული ძმები, რომელიც ერთ გვაროვნებას შეადგენს და გული რაღაც იმედს გაძლევს, რომ აი ავერ შევერთდებით, შევეყრებით ერთი-ერთმანეთს..

Აგერ მიველით სოფ. Ბორა-შენს. Რაბათიდგან წამოსული Ზავთია (ჩაფარი) დავაბრუნე, აქედგან სხვა წავიყვანე და წაველ წინ; მარჯვნივ დავტოვე სოფ. Ოქრო-ბაგეთი და Ციხის-ძირი. Შუა დღისას მიველით ს. Ციხის; ახლოს მოჩანდა პატარა დანგრეული ციხე ამ სოფელში ქერს ახლად სთესდნენ. Როგორც ს. Ბორაშენიდგან წამოველით, ხშირი ტყეები თან და თან ფართოვდებოდა და აქ ტყე დაგვრჩა კარგა მოშორებით. Ბაღების და ბოსტნების ხსენება არ არის. Აქ კარგა დავისვენეთ, ჩვენც დავნაყრდით და ცხენებსაც ვაჭამეთ. Საათში საშუალო რიცხვით ათ ვერსს გავდიოდით.

Დასვენების შემდეგ მამასახლისს უთხარ კაცი გამოეყოლებინა Ვახლამდინ (Ფოცხოვის მაზრაშია). Რაბათიდან თვითონ Ნური-ბეგმა, როდესაც Ზაფთია გამომაყოლა, უბრძანა, რომ ყოველ სოფლიდგან მოეცათ კაცი, ყოლაუზი (გზის მასწავლებელი). Სანამ მამასახლისისაგან პასუხს ველოდი, გასწია ნახევარ საათზე მეტმა. Ბოლოს მამასახლისმა მითხრა: ჩვენ კაცს ვერ მოგცემთო; მიზეზი, რომ გუშინ იმ ტყეში Აჭარლებმა გაფცქვნეს (გაცარცვეს) ერთი Არტანუჯელი, წაართვეს 80 ლირა (ოქრო) და ბევრიც ეცემათ.

Ამ დროს მამასახლისმა ერთს ბიჭს მიაძახა:

„— Ოლა გელ ილარი, სოილა ნესელ იდი“ (ბიჭო, წამოდექ წინ, ვუთხარი, როგორც იყო). Წამოდგა წინ.

— Დიახ ალავ! მე დამიჭირეს, ტავარჯული (ზურგზე წამოსაკიდი გუდა) წამართვეს, ბევრიც მცემეს, მითხრეს: აქეთკენ გიაურები ხომ არ დადიანო, Თქვენ რომ დაგინახონ, შიძლება ახლო ვერ მოვიდნენ და შორიდგან ტყვიას გესვრიან. Ალავ! Ამაღამ აქ მოისვენეთ, ხვალ აქედგან ხუთ კაცს და სხოლობნიდგან ათს თოფიან გამოგატანთ და შვიდობით გაივლით მთას; თორემ დღეს ერთით და ორით არ შეიძლება...

— Ჰაჯი Იუსუფ-აღა Ჭავაჯი-ოღლი იქ სცხოვრობს? Ვკითხე მე.

Ამ კითხვაზე ართმანეთს შეხედეს, შემდეგ მითხრა მამასახლისმა.

— Ეფენდი! Თქვენ საიდგან იცნობთ Იუსუფ-აღას? მკითხა.

— Მე Ქ. Პ—შვილი ვარ და თუ იმის პატივი გაქვსთ, დღესვე უნდა გამისტუმროთ... Დარწუნებული ვიყავი, რომ ჩემ თხოვნას შეასრულებდნენ, რადგან ვიცოდი, რომ ესენი მამაჩემს ძალიან დაახლოვებით იცნობდნენ. Მართლაც, საჩქაროდ სამი თოფიანი კაცი მომცეს, და გავემგზავრეთ.

(გაგრძელება.)

ტფილისი

რომელიც მოელოდა სრულს კმაყოფილებასა, უნდა მიეცეს თითქმის ორ თუმანზედაც ნაკლები; მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამას ათი თუმანი მეტი დანახარჯი აქვს ამ საქმეზედ ტფილისიდან ქუთაისს ასვლა-ჩასვლით.

მე მგონია, რომ ეს ყოველი ზემო აღნიშნული მოქმედება უფრო კანონის წინააღმდეგი და ყალბი უნდა იყოს, ვიდრე მართლად ვალის აღება, ქაშიასი? გასაკვირველი ესეც არის, რომ ეს ჩვენი წელიწადში სამოცი თუმნის ჯამაგირის ამღები ბრძენი სეკრეტრის თანაშემწე კ—ხიძე ათის წლის თავის შრომას შეადგენს ექვსას თუმნად ხელუხლებლივ მიასესხებს ერთს რომელსამე გაყვლეფილს მუშას ქაშიას, ისიც უბარათოდ! ამ დროებაში მდიდარ კაცსაც უჭირდება, არამც თუ ექვსასის თუმნის შოვნა, არამედ ათის თუმნისაცა, ისიც დამტკიცებულის ვექსილით. . , . . . ამის შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ ბატ. კ—ხიძეს ბევრი ამისთანა საქმეები ჩაუდენია თავის თანამდებობაში, მაგრამ მადლობა უფალს, მაღალი . . . . . . . ქუთ. ოლქის სასამართლოს თავსმჯდომარის თანამდებობის ამსრულებელს ბ. კოლჩინს არ სურდა, ზემოხსენებულ საგანზედ მიელო საჩივარი კ—ძეზედ და თითქოს ორჯელაც მოჩივარი გამოისტუმრა ცუდის მოხსენებით და რადგანაც ქველიშვილმა შეაწუხა თხოვნით საჩივრის მიღებისათვის, მაშინ ის საჩივარი ძლივს მიაღებინა და რა განკარგულებას მოახდენენ მაზედ—ვნახოთ.

ა. ნ—ძე.

# განცხადებანი

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ნოემბრის თვის 13-სათვის, დილის 12 საათზე, იმის თან-დასწრებით იქნება ვაჭრობა ცხენების გარდასახადის იჯარით აღებაზედ, ვადით მომავალ 1882 წლის 1 იანვრიდამ 1885 წლის 1 იანვრამდის. და ამის გამო ვისაც ამ იჯარის აღება ჰსურს, შეუძლიანთ დაწვრილებული პირობები ქალაქის გამგეობის (უპრავის) კანცელარიაში ნახოს მუდამ დღე დილის 10 საათიდამ 2 საათამდინ უქმ დღეების გარდა. (3—3)

# თფილისის საადგილ-მამულო ბანქისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების § 15 თანახმად 17 თებერვლას 1881 წლისა, ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 10-ს ამ 1881 წლისა, შუადღეზე, თფილისის ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში, № 13, იქნება საზოგადო გასყიდვა (უპერეტორჟკოდ) იმ ქვემო-მოხსენებულ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც ბანკიდგან აღებული ვალი დანიშნულ დროზე ვერ შემოიტანეს, ბანკის წესდების § 13, 14, 15, 17, 18 და 19 მუხლებისაგან დადგენილი.

**მაღალაშვილისა**, მარიამ დიმიტრის ასული: ოთხი ორ-სართულიანი სახლი ხუთის ერთ-სართულიანის ფლიგელით და სარდაფებით, სივრცე ადგილისა 958 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 უჩასტკაში 1 განყოფილებისა ქალაქ ტფილისში, დამოქნის ქუჩაზე. თავნი ვალი 47,269 მან. 20 კაპ., კიდევ გარდასახდელი 2,307 მან. და 60 კაპ., სულ—ორმოც-და-ცხრა ათას ხუთას სამოც-და-ათი მან. და 80 კაპ.

**სულხანოვისა**, მარიამ ივანეს ასული: ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილი სივრცით 276 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისში: ა) მე-7 უჩასტკაში 1 განყოფ. და ბ) მე-14 უჩასტკის 2 განყოფილებაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი—24,947 მან. 7 კაპ., კიდევ გარდასახდელი ვალი—1,517 მან. 90 კაპ., სულ—ოც-და-ექვსი ათას ოთხას სამოც-და-ოთხი მან. 97 კაპ.

**ციციშვილი**, გიორგი ივანეს-ძე: სახნავ-სათესი, საბალახო, სათიბი ადგილები და ტყე, სივრცით $977\frac{1}{2}$ დესიატ., ტფილისის გუბ. ბორჩალოს უჩასტკაში სოფ. ახლოა-ალაალესთან. თავნი ვალი—15,918 მან. 80 კაპ., კიდევ გარდასახადი 690 მან. 40 კაპ., სულ—თექვსმეტი ათას ექვსას ცხრა მან. 20 კაპ.

**ერისთავი**, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე: სახნავ-სათესი ადგილი სივრცით 101 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი—1,989 მან. 85 კაპ., გარდასახადი—96 მან. 80 კაპ., სულ—ორი ათას ოთხმოც-და-ექვსი მან. 65 კაპ.

**ჩოლოყაშვილებისა**, ელენე ივანეს ასული, ელისაბედ და ნო ილიას ასულნი: სახნავ-სათესი, საბალახე, სათიბი ადგ. და ტყე, სივრცით—3,561 დეს. 2000 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრაში, სახელად შიაური. თავნი ვალი—79,594 მან., ამას გარდა გარდასახდელი—3,404 მან., სულ—ოთხმოც-და-ორი ათას ცხრაას ოთხმოც-და-რვა მან.

**ჭავჭავაძე-კოპაძისა**, მარიამ სოლომონის ასული: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელით ყოველის... [illegible]ბით, სივრცით—116 ოთხ-კუთხი საჟ. მე-2 უჩასტკის 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი—2,207 მან. 18 კაპ., გარდასახდელი—131 მან. 28 კაპ.,—სულ ორი ათას სამას ოც-და-თვრამეტი მან. 46 კაპ.

**ბურდულოვი**, ალექსანდრე სოლომონის-ძე: ორი დუქანი, ადგილი სივრცით—600 ოთხ-კუთხი საჟ. მე-11 უჩასტკის 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი—2,680 მან. 68 კაპ., გარდასახადი—188 მან. 65 კაპ.,—სულ ორი ათას რვაას სამოც-და-ცხრა მან. 33 კაპ.

**ალექნიკოვისა**, სალომე იაგორის ასული: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ქვით-კირის ფლიგელით, თან ადგილი სივრცით—88 საჟ. $1\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის 1 უჩასტკის 1 განყოფილებაში, წმ. დავითის ქუჩაზე. თავნი ვალი—3,574 მან. 23 კაპ., გარდასახდელი—202 მან. 80 კაპ.,—სულ სამი ათას შვიდას სამოც-და-შვიდმეტი მან. 3 კაპ.

**სლინკო**, ანნა ივანეს ასული: ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი $111\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე11 უჩასტკის 2 განყოფილებაში ქ. ტფილისში, ელისავეტოპოლს ქუჩაზე. თავნი ვალი—17,871 მან. 19 კაპ., გარდასახდელი—966 მან.,—სულ თვრამეტი ათას რვაას ოც-და-ცამეტი მან. 19 კაპ.

**ერისთავი**, ალექსანდრე პავლეს-ძე წისქვილი და სადგომი, თან ადგილი სივრცით—5610 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი—6,254 მან. 90 კაპ., გარდასახდელი—461 მან. 60 კაპ.,—სულ ექვსი ათას შვიდას თექვსმეტი მან. და 50 კაპ.

**გაბუნია**, მერაბ იაგორის-ძე: ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ ქ. გორში. თავნი ვალი—2,680 მან. 68 კაპ., გარდასახდელი—176 მან. 31 კაპ.,—სულ—ორი ათას რვაას ორმოც-და-თექვსმეტი მან. 99 კაპ.

**მარუმოვი**, არშაკ ოჰანეზის-ძე: 1) სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და 2) ორი ერთ-სართულიანი სახლი, თან ადგილი $241\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-14 უჩასტკის 2 განყოფ. ქ. ტფილისში, ავლაბარში. თავნი ვალი—3,217 მან. 97 კაპ., გარდასახდელი—368 მან. 34 კაპ., სულ—სამი ათას ხუთას ოთხმოც-და-ექვსი მან. 31 კაპ.

**ზარაფოვი**, სტეფანე იაგორის-ძე: 1) სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სამ-სართულიანისავე ფლიგელით და 2) ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, თან ადგილი—$279\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 უჩასტკის 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში ვორონცოვის წყლის-პირ ქუჩაზე. თავნი ვალი—36,157 მან. 64 კაპ., გარდასახდელი—1,920 მან.,—სულ ოც-და-თვრამეტი ათას შვიდას-შვიდი მან, და 64 კაპ.

**პავლიევი**, იაკობ სიმონის-ძე: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი—72 ოთხ-კუთხი საჟ. მე-5 უჩასტკის 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში ნემეცების ქუჩაზე. თავნი ვალი—5,416 მან. 69 კაპ., გარდასახდელი—962 მან. 12 კაპ., სულ—ექვსი ათას სამას სამოც-და-თვრამეტი მან. 81 კაპ.

**ორლოვსკის**, სალომე იოსების ასული: ერთ-სართულიანი სახლი ორ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფებით, ეზოთი, ბაღჩით და რიყის წყლით, თან ადგილი 160 ოთხ-კუთხი საჟ. და 8 არშ. 1 უჩასტკის 1 განყოფ. ქ. ტფილისში, ერმოლოვის ქუჩაზე, № 5. თავნი ვალი—11,405 მან. 69 კაპ., გარდასახდელი—656 მან., 98 კაპ., სულ—თორმეტი ათას სამოც-და-ორი მან. და 67 კაპ.

**სლინკო**, ეკატერინა ივანეს ასული: სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი თავის ფლიგელით და სხვა შენობით, თან ადგილი—$313\frac{3}{4}$ ოთხ-კუთ. საჟ. 1 მიხაილოვის უჩასტკის 1 განყოფ., ქ. ტფილისში. თავნი ვალი—25,448 მან. 35 კაპ., ამას გარდა გარდასახდელი—1,299 მან. 90 კაპ., სულ—ოც-და-ექვსი ათას შვიდას ორმოც-და-რვა მან. და 25 კაპ.

**ფუდინოვი**, ისაკ ნიკიტის-ძე: ორი სამ-სართულიანი ქვის სახლი ორის სამ-სართულიანის ფლიგელით, თან ადგილი 156 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 ოთხ-კუთხი არშინ. 1 უჩასტკის 1 განყოფ., ქ. ტფილისში, ნოროშნის და დავითის ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი—16,965 მან. 57 კ., ამას გარდა გარდასახადი—1518 მ. 20 კ.,სულ—თვრამეტ ათას ოთხას ოთხმოც-და სამი მან. და სამოც-და-ჩვიდმეტი კაპ.

**შჩერბაკოვი**, ერისტრატ მაქსიმეს-ძე და ავდოტია აგაფონის ასული: ორ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, მასთან მიწა $144\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 უჩასტკის 1 განყოფ., ქ. ტფილისში. თავნი ვალი 1,452 მან. 93 კაპ. ამას გარდა გარდასახდელი 83 მან. 58 კაპ. სულ—ათას-ხუთას ოც-და-თექვსმეტი მან. და ერთი კაპ.

**ციციშვილი**, დავით ივანეს-ძე: ნაკვეთი მიწა სივრცით 300 ოთხ-კუთხი საჟ., მე-11 უჩასტკის 2 განყოფ., ქ. ტფილისში. თავნი ვალი—1,162 მან. 35 კ.. ამას გარდა გარდასახადი 120 მან. 19 კაპ. —სულ ათას-ორას ოთხმოც-და-ორი მან. და ორმოც-და-ოთხი კ.

**თუმანოვისა**, ბაბალე ივანეს ასული, აპეკუნი: სახნავ-საპალახე ადგილები და ტყე, სივრცით 292 დესიატ. 1502 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. წედრეში. თავნი ვალი 6881 მან. 47 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 302 მან. 19 კაპ. სულ—შვიდი ათას ას ოთხმოც-და-სამი მან. და სამოც-და-ექვსი კაპ.

**საგინოვი**, მიხეილ პაატას-ძე: სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 2074 დესიატ. და 420 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ახალიაბა, ზემო ხოდაშენი და აზმაანი. თავნი ვალი 13,726 მან. და 69 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 714 მან. 54 კაპ., სულ—თოთხმეტი ათას ოთხას ორმოც-და-ერთი მ. ოც-და-სამი კაპ.

**ერისთავი, ქონა მარიმანოზის-ძე:** სახნავი, სამოსახლო ადგ. და ტყე, სივრცით 1009 დესიატ. ტფილისის გუბ., დუშეთის მაზრ., სოფ. წოლდო. თავნი ვალი 6,373 მან. და 1 კაპ. ამას და გარდა გარდასახადი 427 მან. 56 კაპ. სულ—ექვსი ათას რვაას მან. ორმოც-და-ჩვიდმეტი კაპ.

**სალაგოვი, იესეი ქაიხოსროს-ძე:** სახნავ-სათიბი ადგილები, სივრცით 25 დესიატ. 1620 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., და მაზრაში, სოფ. ქუმისი. თავნი ვალი 982 მან. 25 კაპ. ამას გარდა გადასახადი 53 მან. 9 კაპ. სულ—ათას ოც-და-ხუთმეტი მან. ოც-და-თოთხმეტი კაპ.

**ერისთავნი: რაფიელ და იოსებ დავითის-ძენი:** სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, სივრცით 900 დეს., ტფილისის გუბ. ტიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმა. თავნი ვალი—5,304 მან. 20 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 233 მან. და 79 კაპ. სულ—ხუთი ათას ხუთას ოც-და-შვიდმეტი მან. და ოთხმოც-და-ცხრამეტი კაპ.

**ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე:** სახნავ-სათესი ადგილება და ტყე, სივრცით 800 დეს. ტფილისის გუბ., თიონეთის მაზრა, სოფ. ბოჭორმა. თავნი ვალი—4,714 მან. და 99 კაპ, ამას გარდა გარდასახადი 283 მან. 92 კაპ. სულ—ოთხი-ათას ცხრაას ოთხმოც-და-თვრამეტი მან. 91 კაპ.

**შალიკაშვილნი, კონსტანტინე როსტომის-ძე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრისანი და სალომე პანტელეის ასული:** სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე სივრცით—1447 დეს. 229 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., გორის მაზრა, სოფ. სკრა. თავნი ვალი—32,414 მან. 59 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 1367 მან. 49 კაპ. სულ—ოც-და-ცამეტი ათასი შვიდას ოთხმოც-და-ორი მან. რვა კაპ.

**გაბაშვილი, ანდრია მიხეილის-ძე:** სახნავ-საბალახე ადგილები, სივრცით 106 დეს. 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. ერთისი. თავნი ვალი—4911 მან. 30 კაპ., ამას გარდა გარდასახადი—217 მან. 39 კ. სულ ხუთი ათას ას ოც-და-რვა მან. სამოც-და-ცხრა კაპ.

**ამილახვარი, ივანე თეიმურაზის-ძე:** სახნავი და საბალახე ადგილები, სივრცით 151 დეს. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., გორის მაზრა, სოფ. ნაწრეტი. თავნი ვალი—3437 მან. 82 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 167 მან. 82 კაპ. სულ—სამი ათას ექვსას ერთი მან. და სამოც-და-ოთხი კაპ.

**შალიკაშვილი, იოსებ ივანეს-ძე:** სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 270 დეს. ტფილისის გუბ., სიღნაღის მაზრა, სოფ. ბურჯიანი. თავნი ვალი 4911 მან. 28. კაპ., ამას გარდა გარდასახდელი 321 მან, 63 კაპ. სულ ხუთი ათას ორას ოც-და-თოთხმეტი მან. და ოთხმოც-და-თერთმეტი კაპ.

**ბარათაშვილნი, იოსებ, გიორგი, დავით, მარიამ და ბარბალე ივანესანი:** სახნავ-სათიბი და სამოსახლო ადგილი, სივრცით 536 დეს. 1920 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. ქაშარლ. თავნი ვალი 5914 მან. 10 კაპ., ამას გარდა გარდასახადი—388 მან. 16 კაპ. სულ—ექვსი ათას სამას ორი მან. ოც-და-ექვსი კაპ.

**თარხან-მოურავისა, მარიამ ბიძინას ასული:** სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, სივრცის 545 დეს. 1645 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. გორის მაზრა, სოფ. სათუხარლო. თავნი ვალი 6603 მან. 93 კაპ., ამას გარდა გარდასახდელი 344 მან. 80 კაპ. სულ—ექვსი ათას ცხრაას ორმოც-და-რვა მან. სამოც-და-ცამეტი კაპ.

**ამილახვარი, ამირიდონ ამირიდონის-ძე:** სახნავ-სათიბი ადგილები, სივრცით 145 დეს. 1756 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ ნაწრეთი. თავნი ვალი 2,957 მან. ერთი კაპ., ამას გარდა გარდასახადი 170 მან. 40 კაპ., სულ—სამი ათას ას ოც-და-შვიდი მან. ორმოც-და-ერთი კაპ.

**ალექსეევ-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე:** სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 178 დეს. 840 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ., და მაზრა, სოფ. ახალდაბა. თავნი ვალი 3898 მან. 40 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 181 მან. 60 კაპ. სულ—ოთხი ათას ოთხმოცი მან.

**ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე:** სახნავ-საბალახე და სამოსახლო ადგილები და ტყე, სივრცით 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხ საჟ., ტფილისის გუბ. თელავის მაზრა, სოფ. ქისტაური. თავნი ვალი 7796 მან. 81 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 470 მან. 40 კაპ. სულ რვა ათას ორას სამოც-და-შვიდი მან. ოც-და-ერთი კაპ.

**მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული:** სახნავ სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 2867 დეს. 562 ოთხ-კუთხ-საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრა სოფელთ; ჭოპკანი, ქვემოდ-სოფი, თოხლაკინცა, არაბატაგა, პალიან-ტაკიან, გილიტალა, ხუჯაბა, ლიანვარის საბალახონი, ხუდიბანა და ბულიბაგა. თავნი ვალი 49,042 მან. 19 კა. ამას გარდა გარდასახადი 2132 მან. სულ-ორმოც-და-თერთმეტი-ათასი-ას-სამოც-და-თერთმეტი მან. ცხრამეტი კაპ.

**ციციშვილი, კირილე მდიშერის-ძე:** სახნავ-საბალახე ადგილები და ტყე სივრცით 847 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ახლალალოუ (იგივე-მამაი). თავნი ვალი სულ 59,693 მან. 50 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 690 მან. 40 კაპ. თექვსმეტი ათასი სამას ოთხმოც-და-სამი მან. ოთხმოც-და-ათი კაპ.

**სალაგო, იესე ქაიხოსროს-ძე:** სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 212 დეს. 150 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრა, უდაბ. მონასტერი. თავნი ვალი 1967 მან. 66 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 96 მან. 80 კაპ. სულ ორი ათის სამოც-და-ოთხი მან. ორმოც-და-ექვსი კაპ.

**ორბელიანი-ჯამბაკურიან, ალექსანდრე ივანეს-ძე:** სახნავ-საბალახე ადგილები, სივრცით 2189 დეს, 1987 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. წილკნაური, კასაიარი და ბაშვიჩეტი. თავნი ვალი 34,434 მან. 2 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 1977 მან. 27 კაპ. სულ ოც-და-თექვსმეტი ათასი-ოთხას-თერთმეტი მან. ოც-და-ცხრა კაპ.

**გახვახოვისა, ეკატერინე გიორგის ასული:** სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 308 დეს. 555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლი. თავნი ვალი 2951 მან. 48 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 273 მან. 60 კაპ., სულ სამი-ათას-ორას-ოც-და-ხუთი მან. რვა. კაპ.

**ქარუმიძე, ივანე პაატის-ძე:** სახნავი ადგილები, სივრცით 34 დეს. 1320 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბ., გორის მაზრა, სოფ. ტორთისი. თავნი ვალი 983 მან. 83 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 54 მან. 40 კ. სულ-ათას-ოც-და-თვრამეტი მან. ოც-და-სამი კაპ.

**მელიქოვი, მიხეილ ივანეს-ძე:** სახნავ-საბალახე ადგილები და ტყე; სივრცით 1041 დეს. 500 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. არაბათალა, პალიან-ტაკიან, ხუჯაბა, მელინაშენი, თეთური და სხვა. თავნი ვალი 7893 მან. 82 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 533 მან. 60 კაპ. სულ-რვა-ათას-ოთხას-ოც-და-შვიდა მან. და ორმოც-დი-ორი კაპ.

**მაყაშვილები, გიორგი რევაზის-ძე და ზურაბ ივანეს-ძე:** სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 660 დეს. 1800 ოთხ-კუთხ საჟ., ტფილისის გუბ. თიანეთის მაზრა, სოფ. ბოტკო. თავნი ვალი 11.874 მან. 49 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 1046 მან. 74 კაპ. სულ თორმეტი-ათას-ცხრაას-ოც-და ერთი მან. ოც-და-სამი კაპ.

**შალიკოვისა, ეკატირინე პაატას ასული:** სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 130 დეს., ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, სოფ. ვეჯინი, ბურჯიანი და ნაურთალი. თავნი ვალი 3850 მან. 22 კაპ. ამას გარდა გადასახადი 241 მან. 12 კაპ. სულ ოთხი ათას ასი მან. ოც-და თორმეტი კაპ.

**ორბელიანები, გრიგოლ და ივანე კონსტანტინეს-ძენი:** სახნავ-სათესები ადგილები და ტყე, სივრცით 731 დეს. 1570 ოთხ კუთ საჟ. ტფილის. გუბ. და მაზრა სოფ. ყიზილ-აჯილო (იგივე იფნარა და თამას-კულას-ობა) და საჯა. თავნი ვალი 6926 მან. 79 კაპ. ამას, გარდა გარდასახადი 308 მან. 80 კაპ. სულ—შვიდი ათას ოც და ხუთმეტი მან. ორმოც-და-ცხრამეტი კაპ.

**მაღალოვისა, ნინო სარიდანის ასული:** ვენახი სივრცით 6 დეს. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, სოფ, ბაკურციხე. თავნი ვალი 1700 მან. ამას გარდა გარდასახადია 84 მან 80 კაპ. სულ ათას შვიდას ოთხმოც და ოთხი მან. ოთხმოცი კაპ.

**ავალიშვილი, სიმონ ივანეს-ძე:** ვენახი სივრცით 2 დეს. ტფილისის გუბ., სიღნაღის მაზრა, სოფ. ჩუმლაკი. თავნი ვალი 2000 მან. ამის გარდა გარდასახადი 65 მან. სულ ორი ათას სამოც და ხუთი მან.

**ვახვახოვი, ზაქარია ივანეს-ძე:** ვანახი, ზომით შვიდი 7 დესიატ. 128 ოთხ კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. კურდღელაურში. თავნი ვალი 2000 მან. კიდევ გადასახადი 143 მან 84 კაპ. სულ ერთიანად ორი ათას ას ორმოც და სამი მანეთი, ოთხმოც და ოთხი კაპეიკი.

**რუსიევისა ელისაბედ ივანეს ასული:** საბალო და სამოსახლო მიწა ზომით 1470 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., თელავის მაზრა, სოფ. კურდღელაურში. თავნი ვალი 500 მან. კიდევ გადასახადი 33 მან. 20 კაპ, სულ ერთიანად ხუთას ოც და ცამეტი მან. და ოცი კაპ.

**მკალავიშვილნი: სერგეი და ალა ვართანოვის-ძენი** ვენახი და ბაღი ზომით ნახევარი დესიატინა ტფილისის გუბ., დუშეთის მაზრაში, სოფ. მუხრანში. თავნი ვალი 600 მან. კიდევ გადასახადი 37 მან. 44 კაპ. სულ —ვალია: ექვსას-ოც-და-ჩვიდმეტი მან. ორმოც-და ოთხი კაპ.

**კალატაურა გიორგი ივანეს-ძე:** ვენახი ზომით 1 დესიატ. ტფილისის გუბერ. და მაზრაში, სოფ. დიღომში. თავნი ვალი 700 მან. კიდევ გარდასახადი 47 მან. სულ—ვალი შვიდას-ორმოც და შვიდი მანეთი.

**ნასყიდაშვილი, ლუკა ივანეს-ძე:** ვენახი და შენობები ზომით 8 დესიატ. ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ ყარაბულახში. თავნი ვალი 700 მან. გარდასახადი 54 მან. სულ—ვალი: შვიდას-ორმოც-და-თოთხმეტი მანეთი.

**რუსიევისა სოფიო ნიკოლოზის ასული:** ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი თავისი შენობებით, ზომით 264 ოთხ კუთხი საჟ. ქალაქ თელავში. თავნი ვალი 400 მან. გარდასახადი 60 მან. სულ.—ვალი ოთხასსამოცი მანეთი.

**იეგოროვი, ივანე ივანეს-ძე:** ხეხილის ბაღი და ვენახი შენობებით, ზომით 678 და ორი მესამედი ოთხ კუთხი საჟენი, 10 უჩასტკაში, 2 განყოფილებაში ქალაქ ტფილისში ნაბერეჟნის ქუჩაზე № 29. თავნი ვალი 2000 მან. გარდასახადი 132 მ., სულვალი ორი-ათას-ას-ოც-და- ათი მათნთი.

გასყიდვა ამ მამულებისა, ბანკის წესდების § 18 ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გარდასახადი საეროდა ხარჯისა.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილ იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთი, შეიძლება აგრეთვე ბანკმა ვალი მამულის მყიდველზე გადაიტანოს; ვადაზე შემოსატანი ფული და სხვა გარდასახადი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შეტანილი.

თუ დანიშნულ დროს, ამ წლის 10 ქრისტეშობისთვეს, ვერ გაასყიდა გასასყიდლად დანიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 21-ის ძალით, მეორე და უკანასკნელად დაინიშნება ვაჭრობა (ტორგი) 24 დეკემბრისათვის.

ბანკის წესდების §16-ის ძალით, ვალის ამღებს უფლება აქვს ვალს გარდა რაც გადასახადი ხვდება თავის სარგებლითა ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე სხვა ხარჯიც, რაც იმის მამულს გასასყიდლად დანიშვნისათვის დაეხარჯა ბანკს, გასყიდვის (ტორგის) დღემდინ შემოიტანს ბანკში.

(3—2)

---

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი